ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს სხდომის
ოქმი № 33

2009 წლის 2 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დღის წესრიგი:

1. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის 25 ივნისისა და 13 ივლისის აკადემიური საბჭოს არჩევნების შედეგების გაცნობა;
2. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის მდივნის არჩევა;
3. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სტანდარტში შესატანი ცვლილებების განხილვა;
4. ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის შემსწავლელი ლაბორატორიის შექმნა;
5. ცოცხალი სამყროს შემსწავლელ მცნიერებათა ფაკულტეტზე მიკრობიოლოგია და მოლეკულური გენეტიკის მიმართულებით აკადემიურ თანამდებობაზე მამუკა კოტეტიშვილის კანდიდატურის განხილვა;
6. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
7. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ინსტიტუტის შექმნის საკითხის განხილვა;
8. ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლის პროგრამაში მონაწილე უცხო ქვყნის მოქალაქეების უნივერსიტეტის მსმენელის სტატუსის მინიჭება.
9. ცაგერისა და მერნეულის ფილიალების ლიკვიდაციის საკითხის განხილვა;
10. უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესში შესატანი ცვლილებების განხილვა;
11. ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ტურიზმის უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე უცხო ენის სწავლების საკითხის განხილვა;
12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება.
13. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგის გაზრდა 70 ასისტენტ-პროფესორით.
14. აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტზე საუნივერსიტეტო საკონკურსო კომისიის შექმნა

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე,
2. მერაბ სვანაძე – სხდომის მდივანი,
3. ნელი წიბახაშვილი,
4. გურამ ყიფიანი,
5. დავით მიქელაძე,
6. მალხაზ მაყაშვილი.

აკადემიურმა საბჭომ გადაწყვიტა: უმაღლესი განათლების კანონის 2009 წლის 10 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებების მიხედვით შეიქმნას:

1. **კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლა შემდეგი შემადგენლობით:**

პროფ. გიორგი ნოდია, დირექტორის მოვალობის შემსრულებელი
პროფ. დავით დარჩიაშვილი
პროფ. დავით აფრასიძე
ასისტ. პროფ. არჩილ აბაშიძე
ასისტ. პროფ. გიორგი გვალია

2. **უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში ჩამოყალიბდეს სოციალური კვლევების ლაბორატორია შემდეგი შემადგენლობით:**

ასისტ. პროფ. ლევან თარხნიშვილი
პროფ. მამუკა ნადარეიშვილი
პროფ. გიორგი წულაძე
ასისტ. პროფ. ანა ჟვანია
ასისტ. პროფ. ანა კირვალიძე

3. **წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შემდეგ ფაკულტეტის გაუქმებისას ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი გადანაწილდეს შემდეგი მიმართულებით:**

ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გადანაწილდნენ შემდეგი პროფესორები - პროფ. ირაკლი იმედაძე, ასოც. პროფ. ტარიელ სიხარულიძე, ასისტენტ- პროფესორი დავით პაიჭაძე.

დ) ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე გადავიდეს - ასოც. პროფ. ნიკოლოზ მაღლაფერიძე

4. **წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შემდეგ ფაკულტეტის გაუქმებისას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შექმნას** მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტი შემდეგი პროფესორებით: - პროფ. გიგა ზედანია, პროფ. სერგო რატიანი, პროფ. ემზარ ჯგერენაია, პროფ. მამუკა ბერიაშვილი, პროფ. თამარ ჯაფარიძე, ასისტ. პროფ. მაკა ლაშხია, ასისტ. პროფ. ნინო როდონაია, ასისტ. პროფ. კახაბერ კურტანიძე;

5. **წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შემდეგ ფაკულტეტის** ცოდნის ეკონომიის სკოლაში, რომლის შექმნის პროცესი მიმდინარეობს განათლების ფაკულტეტზე, გადავიდნენ - პროფ. გიგი თევზაძე, ასოც. პროფ. შორენა საძაგლიშვილი;

6. **წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შემდეგ ფაკულტეტის გაუქმებისას,**

ფაკულტეტის ადმინისტრაცია ფაკულტეტის მდივნისა და დეკანის თანაშემწის შემადგენლობით გადავიდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში და ადმინისტრაციამ განსაზღვროს მათი ადმინისტრაციული თანამდებობები.

1. დაევალოს ადმინისტრაციას, შექმნას პოსტ-საბაკალვრო პროგრამების სამსახური.
2. **წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შემდეგ ფაკულტეტის გაუქმებისას** შეუერთდეს კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლას ფაკულტეტთან არსებული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის კვლევის ცენტრი;
3. **წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შემდეგ ფაკულტეტის გაუქმებისას** კვლევითი ცენტრი- თავისუფლების ინსტიტუტი გახდეს საუნივერსიტეტო ცენტრი;
4. **წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შემდეგ ფაკულტეტის გაუქმებისას** ჯანდაცვის ფსიქოლოგიის ცენტრი გახდეს საუნივერსიტეტო ცენტრი;
5. შეიქმნას დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი.

6. **წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შემდეგ ფაკულტეტის გაუქმებისას** დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტეზე არსებული ცენტრები და აკადემიური და დამხმარე პერსონალი შევიდეს დედამიწის შემსწავლელ მეცნირებათა ინსტიტუტის შემადგენლობაში;
7. დაევალოს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტს, წარმოადგინოს ინსტიტუტის დებულება აკადემიურ საბჭოს შემდეგ სხდომაზე;
8. დაევალოს კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლას, წარმოადგინოს ინსტიტუტის დებულება აკადემიურ საბჭოს შემდეგ სხდომაზე;
9. დაევალოს სოციალური კვლევების ლაბორატორიას, წაერმოადგინოს ლაბორატორიის დებულება აკადემიურ საბჭოს შემდეგ სხდომაზე;
10. დამტკიცდეს - ჩაირიცხოს ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლის პროგრამაში "კავკასია ევროპულ და გლობალურ კონტექსტში" მსმენელებად უცხო ქვეყნის მოქალაქეები დანართი 13-ის მიხედვით. ასევე ჩაირიცხონ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო (პოლიტოლოგია, სოციოლოგიის შესავალი, კავკასიის ხალხთა ისტორია, კულტუროლოგია, ინგლისური ენა, ქართული ენა) საგნებზე მსმენელებად უცხო ქვეყნის მოქალაქეები დანართი 13-ის მიხედვით.

2009 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. **დამტკიცდეს** ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მდივნად ბატონი მერაბ სვანაძე
2. **ცნობად იქნეს მიღებული** 2009 წლის 23 ივნისისა და 13 ივლისის აკადემიური საბჭოს არჩევნების შედეგები შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტიდან - გურამ ყიფიანი;

ბ) ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - დავით მიქელაძე;

გ) მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტიდან - მერაბ სვანაძე;

დ) ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტიდან - ნელი წიბახაშვილი;

ე) განათლების ფაკულტეტიდან - მალხაზ მაყაშვილი

3. **დამტკიცდეს** - ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სტანდარტში შემდეგი სახით: 14.3.2 საერთაშორისო ჟურნალების ნუსხას (ISI Web of knowledge, Scopus, Uirch' s index, ERIH დაემატოს EBSCOH ost - ი.
4. **დამტკიცდეს** - შეიქმნას ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის შემსწავლელი **თენგიზ ონიანის** ლაბორატორია.

5. **დადგინდეს,** დაევალოს იურიდიულ სამსახურს, განიხილოს მამუკა კოტეტიშვილის აკადემიური თანამდებობის დაკავების საკითხი. აკადემიური

საბჭო თანახმაა, მამუკა კოტეტიშვილი აღდგენილ იქნას აკადემიურ თანამდებობაზე, თუ კანონმდებლობა იძლევა ამის საშუალებას.

6. **დამკიცდეს** ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ახალი რედაქცია წარმოდგენილი სახით და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
7. **დადინდეს - შეიქმნას სამეცნიერო კვლევითი ერთეული ინსტიტუტი კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლა შემდეგი შემადგენლობით**
   პროფ. გიორგი ნოდია, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
   პროფ. დავით დარჩიაშვილი
   პროფ. დავით აფრასიძე
   ასისტ. პროფ. არჩილ აბაშიძე
   ასისტ. პროფ. გიორგი გვალია;
8. **უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში ჩამოყალიბდეს სოციალურ კვლევების ლაბორატორია შემდეგი შემადგენლობით:**
   ასისტ. პროფ. ლევან თარხნიშვილი,
   პროფ. მამუკა ნადარეიშვილი
   პროფ. გიორგი წულაძე
   ასისტ. პროფ. ანა ჟვანია
   ასისტ. პროფ. ანა კირვალიძე;
9. **დადგინდეს - წესდების დამტკიცების შემდეგ ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაუქმებისას** მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გადავიდნენ შემდეგი პროფესორები - პროფ. ირაკლი იმედაძე, ასოც. პროფ. ტარიელ სიხარულიძე; ასისტენტ- პროფესორი დავით პაიჭაძე;
10. **დადგინდეს - წესდების დამტკიცების შემდეგ ფაკულტეტის გაუქმებისას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შეიქმნას** მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტი შემდეგი პროფესორებით: - პროფ. გიგა ზედანია, პროფ. სერგო რატიანი, პროფ. ემზარ ჯგერენაია, პროფ. მამუკა ბერიაშვილი, პროფ. თამარ ჯაფარიძე, ასისტ. პროფ. მაკა ლაშხია, ასისტ. პროფ. ნინო როდონაია, ასისტ. პროფ. კახაბერ კურტანიძე;
11. **დადგინდეს - წესდებაში ცვლილებების დამტკიცების შემდეგ ფაკულტეტის გაუქმების შემდეგ** ცოდნის ეკონომიის სკოლაში, რომლის შექმნის პროცესი მიმდინარეობს განათლების ფაკულტეტზე გადავიდნენ - პროფ. გიგი თევზაძე, ასოც. პროფ. შორენა სამაგლიშვილი;
12. **დამტკიცდეს- წესდების დამტკიცების შემდეგ ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაუქმებისას** ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე გადავიდეს - ასოც. პროფ. ნიკოლოზ მაღლაფერიძე; **ასევე წესდების დამტკიცების შემდეგ ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაუქმებისას** ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია ფაკულტეტის მდივნისა და დეკანის თანაშემწის შემადგენლობით გადავიდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში და ადმინისტრაციამ განსაზღვროს მათი ადმინისტრაციული თანამდებობები;
13. **დადგინდეს -** ჩაირიცხონ მსმენელებად ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლის პროგრამაზე "კავკასია ევროპულ და გლობალურ კონტექსტში" დანართი 13 - ში მითითებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ასევე მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის საგნებზე (პოლიტოლოგია, სოციოლოგიის შესავალი, კავკასიის ხალხთა

ისტორია, კუტუროლოგია, ინგლისური ენა, უცხო ენა) ჩაირიცხონ მსმენელებად დანართი 13-ში მითითებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

14. **დაევალოს** - ადმინისტრაციას, შექმნას პოსტ-საბაკალვრო პროგრამების ადმინისტრირების სამსახური;
15. **დაევალოს** - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ქეთევან გურჩიანს წარმოადგინოს პოსტ-საბაკალვროს სამსახურის დებულება შემდეგ აკადემიური საბჭოს სხდომაზე;

16. **დადგინდეს - წესდების დამტკიცების შემდეგ ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაუქმებისას** შეუერთდეს კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლას - ფაკულტეტთან არსებული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის კვლევის ცენტრი;
17. **დადგინდეს - წესდების დამტკიცების შემდეგ ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაუქმებისას** კვლევითი ცენტრი- თავისუფლების ინსტიტუტი - გახდეს საუნივერსიტეტო ცენტრი;
18. **დადგინდეს - წესდების დამტკიცების შემდეგ ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაუქმებისას** ჯანდაცვის ფსიქოლოგიის ცენტრი - გახდეს საუნივერსიტეტო ცენტრი;
19. **დადგინდეს - წესდების დამტკიცების შემდეგ ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაუქმებისას** ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა საუნივერსიტეტო ცენტრი და ლაბორატორია ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე.
20. **დამტკიცდეს** - შეიქმნას დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი;
21. **დაევალოს** - დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტს, წარმოადგინოს დებულება აკადემიური საბჭოს შემდეგ სხდომაზე;
22. **დადგინდეს** - წესდების დამტკიცების შემდეგ დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაუქმებისას ფაკულტეტეზე არსებული ცენტრები და აკადემიური და დამხმარე პერსონალი შევიდეს დედამიწის შემსწავლელ მეცნირებათა ინსტიტუტის შემადგენლობაში;
23. **დაევალოს** - კავკასიის კვლევების საერთაშორისო სკოლას, წარმოადგინოს დებულება აკადემიური საბჭოს შემდეგ სხდომაზე;
24. **დაევალოს** სოციალური კვლევების ლაბორატორიას, წარმოადგინოს დებულება აკადემიური საბჭოს შემდეგ სხდომაზე;
25. **დადგინდეს - დაიწყოს ლიკვიადაციის პროცედურები** ცაგერისა და მარნეულის ფილიალებში, დაევალოს ადმინისტრაციას, ლიკვიდაციასთან დაკავშირებით შექმნას კომისია და განსახილველად წარუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
26. **დადგინდეს - შევიდეს** ცვლილებები უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესში წარმოდგენილი სახით;
27. **გამოცხადდეს** კონკურსი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე. შემდეგი პირობებით:

    ა) აკადემიურ და/ან ადმინისტრაციულ თანადებობებზე მუშაობის გამოცდილება;

    ბ) საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება;

    გ) სწავლებისა და შეფასების თანამდეროვე მეთოდების ცოდნა;

    დ) აკრედიტაციის პროცესის ცოდნა;

ე) ინგლისური ენის ცოდნა მაღალ დონეზე
ვ) საოფისე პროგრამების ცოდნა

კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია;
დ) 2 ცალი ფოტოსურათი;
ე) სამოქმედო გეგმა და კონცეფცია;

28. **დადგინდეს** - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგის გაზრდა 70 ასისტენტ- პროფესორით და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
29. **დამტკიცდეს** - შეიქმანს სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური კონკურსის ჩატარების მიზნით კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გიგი თევზაძე - კომისიის თავმჯდომარე;
ქეთევან გურჩიანი - კომისიის სხდომის მდივანი;
ივანე მურუსიძე - კომისიის წევრი;
დავით თარხნიშვილი - კომისიის წევრი;
დურმიშხან ჩიტაშვილი - კომისიის წევრი.

სხდომის თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი

მერაბ სვანაძე